



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



PRESS RELEASE

დაუყოვნებელი გავრცელებისათვის

23 ივლისი, 2014

საკონტაქტო ინფორმაცია:

თამარ ბაგრატია, პროგრამის საზოგადოებასთან

ურთიერთობის სპეციალისტი

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის

ეროვნული ასოციაცია

ტელ: 595 56-55-53; E-mail: tbagrati@nala.ge

ჟურნალისტები მესტიის მუნიციპალიტეტში მყინვარ „ჭალაათის“ მაგალითზე კლიმატის ცვლილების გავლენას გაეცნობიან

საქართველო, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2014 წლის 24-27 ივლისს, პროგრამის “საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია” ფარგლებში, 20-მდე სხვადასხვა მედია-საშუალების წარმომადგენელი მესტიის, ზუგდიდის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტებს და თვითმმართველ ქალაქ ფოთს ეწვევა და კლიმატის ცვლილებისადმი მონყვლად ტერიტორიებს მოინახულებს, მესტიის მუნიციპალიტეტში ჟურნალისტები მყინვარ „ჭალაათის“ მაგალითზე მყინვარებზე კლიმატის ცვლილების გავლენას გაეცნობიან. ჟურნალისტები ასევე კოლხეთის ეროვნულ პარკსაც ეწვევიან.

პროგრამის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო კვლევებისას გამოვლენილი სხვადასხვა პრობლემების გასაშუქებლად ეს მესამე ჟურნალისტური მედია-ტურია, პირველი მედიატურის ფარგლებში მედიის წარმომადგენლები დედოფლისწყაროს, სიღნაღის და ლაგოდეხის, ხოლო მეორე მედიატურის ფარგლებში ბორჯომის, ადიგენისა და გორის მუნიციპალიტეტებში კლიმატის ცვლილებისადმი მონყვლად ტერიტორიებსა და პრობლემებს გაეცნენ.

პროგრამა წარმოადგენს საკვანძო ინიციატივას, რომელიც მიმართულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის დღის წესრიგში გარემოს დაცვითი და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირებაზე. პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების და სოფლის მეურნეობის საკითხების აქტუალიზაციას და აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე სპეციალური ერთეულების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციების განხორციელებას ბუნებრივი რესურსების მართვის, სივრცითი დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარების სფეროში.

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ და შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დიდსულოვანი მხარდაჭერის შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძალისხმევის საფუძველზე

აშშ-ს მთავრობა მხარს უჭერს აღნიშნულ ინიციატივას საქართველოში, როგორც მნიშვნელოვან ძალისხმევას საქართველოს ბუნებრივი რესურსების ეფექტური მენეჯმენტისა და დაცვისათვის.

###

USAID საქართველოში: ბოლო 20 წლის განმავლობაში, ამერიკელმა ხალხმა, USAID-ის მეშვეობით, 1.5 მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარება გაუწია საქართველოს. USAID-ის პროექტები მიზნად ისახავს დახმარების განუვას საქართველოსათვის თავისუფალი და ძლიერი დემოკრატიის მშენებლობის პროცესში და მოიცავს ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესებაზე. USAID უწევს ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://georgia.usaid.gov>